ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა

კომისიის ოქმი N05

დ. ლენტეხი. 16 სექტემბერი 2024წ.

მიმდინარე წლის 16 სექტემბერს ჩატარდა ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა, სხდომას ესწრებოდნენ: ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დალი ტვილდიანი, წევრები: მევლუდ ლიპარტელიანი, სოსო ავალიანი, ამირან ქურასბედიანი, ნინო ბენდელიანი და მირიან ლიპარტელიანი. კომისიის სხდომას ასევე ესწრებოდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების მოსაკრებლების ადმინისტრირებისა და კონტროლის განყოფილების უფროსი ირა გვიჭიანი.

კომისიის თავმჯდომარემ დალი ტვილდიანმა კომისიის წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი:

1.„ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების - მძიმე ტექნიკის (ექსკავატორ-დამტვირთველი) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ."

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მერიიდან შემოვიდა მერის წინადადება - ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების - მძიმე ტექნიკის (ექსკავატორ-დამტვირთველი) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ. წინადადებას თან ერთვის ხელშეკრულება შესყიდვის შესახებ N-205.

ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 215.021 ლარს , დღგს გათვალისწინებით.

საქონლის მოწოდება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების საფუძველზე.

წარმოდგენილი სატენდერო წინადადების მიხედვით მომწოდებელი საქონლის მიწოდებასა და ექსპლუატაციასი გაშვებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდრული დღის ვადაში.

საქონლის მოწოდებას სსიპ შსს მომსახურების სააგენტოში გადაფორმებასა და ექსპლუატაციასი გაშვებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

საკითხთან დაკავშირებით კითხვა დასვა მევლუდ ლიპარტელიანმა - რამდენი იქნება ყოველდღიური შენატანი ბიუჯეტში?

მომხსენებელმა განმარტა, რომ ანაზღაურება მოხდება საათების მიხედვით. ერთ საათში 40 ლარი.

შეკითხვა დასვა ამირან ჭურასბედიანმა - ვინ განახორციელებს კონტროლს?

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ხელშეკრულების თანახმად შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მომწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხზე და მიიღეს გადაწყვეტილება: აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს ქონების მართვის და

ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე: /დალი ტვილდიანი/